„ლიმონი და ლიმონათი"

„ჰეი იოჰე ბაკჰე"

ანუ ადიდებდნენ დიონისეს ძველად თავის სამშობლოშიც და სხვა წარმართულ ქვეყნებშიც. ღვინის სმისა და ლხინის კულტურას ქრისტიანულ საქართველოშიც თავისი წესები ჰქონდა, მაგრამ დღეს რაც ხდება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს: კატასტროფულად იზრდება ლოთების რიცხვი. გადაცემა „ლიმონი და ლიმონათიც" სწორედ ამ პრობლემას ეხება. ვესაუბრებით გადაცემის ავტორსა და წამყვანს **მაკა ლომიძეს**:

— საქართველოში ყურადსაღები სტატისტიკური მონაცემებია ლოთების რაოდენობის შესახებ. თითქმის ყოველ კუთხეში ნახავთ მიგდებულ, გალეშილ ადამიანს. „ეჰეი იოჰე ბაკჰე" ანუ „ვადიდოთ დელფოსელი დიონისე" — რიტუალი აღარ არსებობს. ღვინის სმა სტრესისა და ტკივილის მოხსნის, პრობლემების დავიწყების საშუალებად იქცა.

— **ე.ი. ღვინო ასრულებს ნარკოტიკული საშუალების ფუნქციას.**

— დიახ, და სამწუხაროა, რომ მას ბავშვებიც ეტანებიან. საქართველოში, კერძოდ კი თბილისში, არსებობს „ბომჟების" ჯგუფები. გადაცემაში ნახავთ, როგორ იწყება და მთავრდება მათი დღე. 12-13 კაციანი ჯგუფები დილიდან აგროვებენ ბოთლებს, პუნქტებში აბარებენ, ყიდულობენ სასმელს და ილეშებიან.

— **მათ შორის ქალებიც არიან, არა?**

— სამწუხაროდ, ქალებიც. მაგრამ ყველაზე შემაშფოთებელი ალბათ ის არის, რომ უპატრონო ბავშვთა თავშესაფრიდან გამოქცეული მცირეწლოვანები ალკოჰოლური სასმლით ცდილობენ რეალობისაგან გაქცევას და ძალიან სამწუხაროა, რომ ამ პრობლემას დღეს ყველა გულგრილად უყურებს. რაც ალბათ ბუმერანგივით მოგვიბრუნდება.

— **ამ უარყოფითი მოვლენის ამსახველი სიუჟეტებიც გადაიღეთ?**

— გადაცემაში ნახავთ როგორც მაწანწალა ბავშვების ლოთობის ფაქტებს, ისე ლოთების ოჯახებში აღზრდილ ბავშვებს, მათ სრულიად განსხვავებული ფსიქიკა გააჩნიათ. გაჩვენებთ, რა ხდება გამოსაფხიზლებლებში. სამწუხაროდ, როგორც ბევრი სხვა, ამ საკითხების აქტუალობაც სოციალურმა და ეკონომიკურმა პრობლემებმა გამოიწვია.

ეკა ლომიძე

ყველაზე გავლენიანი ფიგურა

ამერიკის სატელევიზიო ტოკ-შოუს დედოფალი **ოპრა უინფრი** გამუდმებით ხვდება პრესტიჟულ სიებში. ხან — ჟურნალ „ფორბსში" აღმოჩნდა ყველაზე მდიდარ ამერიკელთა ნუსხაში, ხან — შოუ-ბიზნესის უძლიერეს პიროვნებათა სიაში... რამდენიმე ხნის წინ ოპრა პრესტიჟული ათეულის სათავეში აღმოჩნდა: ჟურნალმა BOOK MAGAZINE-მა ოპრა უინფრი აღიარა ბეჭდვითი ინდუსტრიის ყველაზე გავლენიან ფიგურად. და ეს მართალიც არის. მაყურებელი ხომ საყვარელი ტელეწამყვანის აზრს ითვალისწინებს და კითხულობს იმას, რასაც ოპრა ურჩევს მათ... რამდენიმე დღის წინ ოპრა უინფრიმ ახალი სახლი შეიძინა სანტა-ბარბარას მახლობლად — 50 მილიონ დოლარად. ამ გავლენიან ქალბატონს პენთჰაუზი აქვს ჩიკაგოში და უზარმაზარი რანჩო ინდიანაში. მაგრამ, ტელეწამყვანის აზრით, უძრავი ქონება არასოდეს არ არის ბევრი...



ოჯახით შავ ზღვაზე

რეალურ ფასად

(ყოფილი მე-4 სამმართველო, ადგილები შეზღუდულია)

ივლისში და სექტემბერში ფასდაკლება

ტელ: 92 02 96

ორშაბათი 2 ივლისი

კვირის პალიტრა

სამშაბათი 3 ივლისი

ოთხშაბათი 4 ივლისი

ხუთშაბათი 5 ივლისი

პარასკევი 6 ივლისი

შაბათი 7 ივლისი

კვირა 8 ივლისი

ფრთხილად!

რეკლამას ზოგჯერ შეუძლია გაყიდვინოთ ისიც, რაც თქვენ საერთოდ არ გჭირდებათ!

რეკლამა „კვირის პალიტრაში" 33-78-07

რატომ? WHY?

ანუ რა ხდება ტელეკომპანია „კავკასიაში"

ყოველ პარასკევს, 21 საათზე ეთერში გადის გადაცემა „რატომ? Why?", რომელსაც მაყურებელმა კარგა ხანია, „ვაი-უს", ანუ გაჭირვებულთა გადაცემა შეარქვა. მისი ავტორი და წამყვანი **ზურაბ მურვანიძე** ცნობილი ადამიანი გახლავთ — მან პარლამენტარობის დროს სხვადასხვა საკითხის მიმართ პროტესტი პირის ამოკერვით გამოხატა.

ნეიროქირურგი ზურაბ მურვანიძე უმეტეს დროს ტელეფონით საუბარს ანდომებს და შეჭირვებულთა სატკივარს ისმენს. თუმცა, თურმე, ხშირად შარიანებიც ურეკავენ. აი, რა გვითხრა ბატონმა ზურაბმა:

— გადაცემის მსვლელობის დროს დამირეკა ქალბატონმა და მთხოვა, — მანქანის ყიდვა მინდა, განბაჟება ძვირი ჯდება და იქნებ შემეშველოთ, ცოტა დააკლებინოთო. ავუხსენი, რომ ოფიციალურად დაკანონებული თანხის შემცირებას ვერავის მოვთხოვდი. მანქანის მართვის მოწმობა მაინც ამაღებინეთო. ვუპასუხე: გამოცდები ჩააბარეთ და არ გაგიჭირდებათ-მეთქი. ამერიკაში მინდა წასვლა, იქნებ კონსულთან საქმის ჩაწყობა მომიხერხოთო. არა, რას ამბობთ, არც ეს არის ჩემი საქმე-მეთქი. ქალი აშკარად გააღიზიანა ჩემმა პასუხებმა და გაბრაზებულმა პირდაპირ ეთერში მომახალა (ბოდიშს გიხდით ამ სიტყვებზე, — ზ.მ.), თუ არაფერი შეგიძლია, აბა, რისი მაქნისი ხარ და რა ჩემი ფეხები გინდა მანდო.

— **ალბათ თავხედობა ხუმრობად ჩაუთვალეთ...**

— რაც იყო, იყო. მაგრამ ერთხელ, ჩემთან ერთად, ალბათ მთელი თბილისი ხარხარებდა: სტუდიაში რეკავს ტელეფონი. ვიღაც ქალბატონი, თავაზიანად იცავს ეთიკის ნორმებს — გვესალმება, მოგვიკითხავს და შემდეგ აცხადებს: მე ვარ დამსახურებული ბოზი. მაქვს მედლები და ორდენები. გთხოვთ, მიპასუხოთ, მეკუთვნის თუ არა შეღავათები კომუნალურ გადასახადებზეო. ჯერ დავმუნჯდი, შემდეგ უცებ გონს მოვეგე და ავუხსენი, — თქვენ, როგორც პროფესიონალ მეძავს და ძირითადად ღამით მომუშავეს (ჩინ-მედლები მისთვის სახელმწიფოს არ მიუნიჭებია), არ შეიძლება შეღავათი გეკუთვნოდეთ ელექტროენერგიის გადასახადზე-მეთქი და დანარჩენი საკითხებიც უმტკივნეულოდ განვუმარტე.

— **იმედია, ხშირი არ არის ასეთი ზარი!**

— საბედნიეროდ, არა.

— **შინაც ხომ არ გირეკავენ?**

— ერთმა ქალბატონმა დამირეკა, — ყურმილი არ დამიკიდოთ, თქვენთან სალაპარაკო მაქვსო. მეჩქარებოდა, მაგრამ ისეთი ხმა ჰქონდა, გავჩერდი. ქალმა ტკივილით დაიწყო საუბარი, ცოტა ხნის შემდეგ კი გაჩერდა და მთხოვა, — დამიცადეთ, ფანჯრის რაფიდან ჩამოვალო... გავშრი, თურმე თავის მოკვლას აპირებდა. ყოფილი ჟურნალისტი, მხატვარი, მარტოხელა, 47 წლის ქალბატონი სიმსივნით იყო დაავადებული და უსახსრობის გამო ვერ მკურნალობდა... ონკოლოგიური ცენტრის დირექტორის დახმარებით ის ქალი განიკურნა.

— **სულ სხვებს უსმენთ? საკუთარი საზრუნავი არ განუხებთ?**

— როგორ არა, მაგრამ ჩინოვნიკები კვირაობით მაცდევინებენ მილებზე და ჩემი საქმის გამო ამდენ ხანს ვერავის დაველოდები.

— **ყველაზე მეტად რა აწუხებს მოსახლეობას?**

— პროტესტს გამოთქვამენ უკანონო მშენებლობისა და ხის მოჭრის გამო. სასამართლოების არასწორი გადაწყვეტილება და კორუმპირებული მოსამართლეების წყენაც ბევრს არეკვინებს. ტრანსპორტის უწესრიგობით შეწუხებულებიც ხშირად ითხოვენ დახმარებას. ყველაზე ცოტა ზარი ხელფასებისა და პენსიების დაგვიანებას უკავშირდება. როგორც ჩანს, ეს მეტისმეტად მწირი გასამრჯელო და პენსია უკვე ნაკლებად აღელვებს ხალხს, ჩემი გადაცემიდან ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ყველა ყველაფერს ამჩნევს, მაგრამ ვერავინ ვერაფერს ცვლის!

საერთოდ, ეს გადაცემა ქვეყანაში მიმდინარე სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი ბარომეტრია.

ეკა ლომიძე

ემა ტომპსონი შიდსს ებრძვის

ორჯერ „ოსკაროსანი" ინგლისელი ვარსკვლავი ემა ტომპსონი ერთი წლით თავს ანებებს კინემატოგრაფიას და მიემგზავრება... აფრიკაში. გგონიათ მსახიობს მობეზრდა გადაღება, სცენარების წერა და ორიგინალური დასვენება გადაწყვიტა? მაგალითად, მონაწილეობის მიღება საფარიში? სულაც არა. მსახიობი აფრიკაში მიემგზავრება ჰუმანიტარული ორგანიზაციის ACTION AID-ის ხაზით, შიდსთან საბრძოლველად. გონებამ უკარნახა ვარსკვლავს, რომ პოპულარობა უშველის მიიზიდოს საყოველთაო ყურადღება ამ პრობლემის მიმართ. „ვფიქრობ, პოპულარობის გამოყენება ამ სახით — საუკეთესო საშუალებაა საკუთარ წარმატებას რაიმე სარგებლობა გამოსტყუო", — თვლის ტომპსონი და სხვა ვარსკვლავებს მოუწოდებს, მიბაძონ მის მაგალითს. ხოლო იმისათვის, რომ პრადმა გრძნობებმა არ შეუშალოს ხელი საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, მსახიობს თან მიჰყავს წლინახევრის ქალიშვილი — გაია და ბოი-ფრენდი — გრეგ უაიზი.